საიდ. №65860/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №39-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანია „უნილევერ ნ.ვ.”-ის (Unilever N.V.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №39-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 22 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1581/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „БАЛТИМОР 1995” (საიდ. №65860/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5, 30-ე და 29-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 22 ნოემბრის №1581/03 ბრძანებაზე თანდართული

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან ნიშანში შემავალი სიტყვა „БАЛТИМОР" იდენტურია ამერიკის შეერთებული შტატების მერილენდის შტატის ქალაქ „ბალტიმორის" დასახელებისა, ხოლო განმცხადებელი არის ნიდერლანდების სამეფოდან, ეს კი შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „უნილევერ ნ.ვ." არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „ბალტიმორი" არა მხოლოდ ამერიკის ერთ-ერთი ქალაქის სახელია, არამედ ასევე ირლანდიაში მდებარე ქალაქისა და ყურის სახელია რუსეთში. შესაბამისად, სახელი „ბალტიმორი" არ უკავშირდება ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს. აპელანტის მითითებით, სასაქონლო ნიშნით „БАЛТИМОР 1995" მონიშნული პროდუქცია იწარმოება რუსული კომპანიის „ზაო ბალტიმორის" მიერ, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს სანკტპეტერბურგში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. აპელანტის პოზიციით, სასაქონლო ნიშანი „БАЛТИМОР 1995" ნაწარმოებია სწორედ ბალტიის ზღვის რუსული დასახელებიდან „ბალტიისკოე მორე" და მიანიშნებს სწორედ მწარმოებლის ადგილმდებარეობაზე. კომპანიის პროდუქციის შეფუთვაზე მითითებულია მწარმოებლის დასახელება „ზაო ბალტიმორ". აპელანტის მითითებით, კომპანია „ბალტიმორი" შეიქმნა 1995 წელს რუსეთში. კომპანიის შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ვებ გვერდზე http://www.baltimor.ru. „ბალტიმორის" პროდუქცია საკმაოდ ფართოდ და დიდი ხნის მანძილზეა წარმოდგენილი საქართველოს ბაზარზე. აღნიშნული კომპანიის სასაქონლო ნიშნით „БАЛТИМОР 1995" წარმოებული ისეთი პროდუქცია როგორიცაა: კეტჩუპი, ძმარი, ტომატი, და სხვა საქართველოს ბაზარზე არსებობს რამოდენიმე წელია და მომხმარებელმა უკვე იცის, რომ ეს არის რუსული წარმოშობის პროდუქცია. აპელანტის მითითებით, 2009 წელს კომპანია „ზაო ბალტიმორი" შეიძინა უმსხვილესმა ჰოლდინგმა „უნილევერ ნ.ვ."-მ, რომელიც არის მფლობელი კომპანიებისა „Unilever Russia" და „Unilever

Germany", რომელბიც თავის მხრივ ფლობენ „ზაო ბალტიმორის" აქციების 100%-ს. ასევე ცნობილია, რომ კომპანია „უნილევერ ნ.ვ." თვითონ არ ფლობს უშუალოდ წარმოებებს, არამედ ეს არის ჰოლდინგური კომპანია, რომელიც არის მფლობელი სასაქონლო ნიშნებისა, შესაბამისი ლიცენზიით პროდუქციას კი ამ სასაქონლო ნიშნებით აწარმოებენ სხვა კომპანიები. აპელანტის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მომხმარებელი კარგად იცნობს კომპანიის პროდუქციას, მის მწარმოებელს და არ დაუკავშირებს პროდუქციის დასახელებას ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარე ქალაქს. უფრო მეტიც ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ზღვის დასახელების „ბალტიისკოე მორე" შემოკლებას, რაც სწორად მიუთითებს საქონლის ადგილწარმოშობაზე. აპელანტის პოზიციით, ქართველი მომხმარებლისათვის სიტყვა „ბალტიმორი" უფრო უკავშირდება ბალტიის ზღვას და არა ქალაქის დასახელებას აშშ-ში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 22 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1581/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „БАЛТИМОР 1995" (საიდ. №65860/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ".

სააპელაციო კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის „БАЛТИМОР" დასახელება წარმოადგენს მერილენდის შტატის ერთ-ერთ უდიდეს და ყველასათვის კარგად ცნობილ ქალაქს

http://en.wikipedia.org/wiki/Baltimore ამერიკის შეერთებული შტატებში, ხოლო განმცხადებელი „უნილევერ ნ.ვ.” წარმოადგენს ნიდერლანდურ კომპანიას, შესაბამისად შესაძლებელია მომხმარებელი შეცდომაში იქნეს შეყვანილი საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „БАЛТИМОР” მართალია შეიძლება ნიშნავდეს „ბალტიისკოე მორეს” შემოკლებულ დასახელებას, მაგრამ მომხმარებელი „ბალტიმორ”-ს პირველ რიგში აუცილებლად დაუკავშირებს მერილენდის შტატის ერთ-ერთ უდიდეს ცნობილ ქალაქს „ბალტიმორ”-ს. ამასთან, აპელანტს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშნით „БАЛТИМОР” ნიშანდებული პროდუქცია ქართველი მომხმარებლისთვის კარგად არის ცნობილი, შესაბამისად არსებობს ძალიან დიდი ალბათობა, რომ მომხმარებელი შეცდომაში იქნეს შეყვანილი საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებულ სასაქონლო ნიშნის „БАЛТИМОР” 1995” (საიდ. №65860/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „უნილევერ ნ.ვ.”-ის (Unilever N.V.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 22 ნოემბრის №1581/03

ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ე. ეგუტია

წევრები: ე. ქემაშვილი

დ. ჭიჭინაძე